საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: „ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94-ში, (ს/კ 01.17.13.037.019), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები”

შპს „ტიბინი დეველოპმენტის” ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2025 წლის დეკემბერში შემოწმებულია ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94-ში, (ს/კ 01.17.13.037.019), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94-ში, (ს/კ 01.17.13.037.019), მრავალფუნქციური შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოებისა და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „გეოინჟ-კომპლექსი”-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ, 2025 წლის ნოემბერ-დეკემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი წამყვანი ინჟინერ გეოლოგი: ალ. პასიკაშვილი. მათ მიერ ვიზუალურად იქნა შესწავლილი საკვლევი ტერიტორია, მოძიებული და დამუშავებულია რაიონის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა. კერძოდ, უბნის სიახლოვეს, მის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ყოფილი ტრამვაის დეპოს ტერიტორიაზე დაყოფილი ისნის პოლიციის ადგილზე მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობებისთვის და ზოგადად რაიონში სხვადასხვა ობიექტებზე, აღნიშნული შპს-ს მიერ ჩატარებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევები, რომელთა მასალები დაცულია ადგილობრივ არქივში და სრულად არის გამოყენებული წინამდებარე

დასკვნის შედგენისას. გრუნტის და წყლის ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა, ჩატარებულია შპს „გეოინჟკომპლექსის" გეოტექნიკურ ლაბორატორიაში.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 14 გვ;
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ;
3. მიწერილობა ..... 1 გვ;
4. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები ..... 4 გვ;
5. გრუნტის კომპრესიული გამოცდის შედეგები ..... 6 გვ;
6. წყლის ქიმიური კვლევის შედეგები..... 4 გვ;
7. ტოპოგეგმა გამონამუშევრების დატანით..... 1 გვ;
8. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები..... 2 ფურც;
9. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ..... 6 ფურც;
10. ფოტომასალა..... 13 ფოტო.

პროექტით გათვალისწინებულია მრავალფუნქციური 13 სართულიანი, პარკინგის ერთი სართულით შენობის მშენებლობა. შენობის ტიპი კარკასული, ბლოკის შევსებით. საძირკვლის ტიპი შეირჩევა ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობების კვლევის შემდეგ, სავარაუდოდ რკინაბეტონის ფილა ან ხიმინჯოვანი. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – IV.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად, უბანზე საპროექტო შენობის კონტურის ფარგლებში დამკვეთთან შეთანხმებულ ადგილებში გაიბურღა 5 ჭაბურღილი №№1 5, სიღრმით – 15,0 მ თითოეული. სულ მთლიანი სამუშაოს მოცულობა შეადგენს 75,0 გრძივ მეტრს. ტერიტორიაზე გავრცელებული გრუნტების ლაბორატორიული შესწავლის მიზნით ჭაბურღილებიდან აღებული იქნა გრუნტის და წყლის ნიმუშები, რომლებზედაც შესრულებულია შესაბამისი ლაბორატორიული კვლევები.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, სამშენებლო უბანზე გამოყოფილია შემდეგი ფენები:

1. **ფენა 1 – ტექნოგენური გრუნტი – ნაყარი,** წარმოდგენილი თიხნარის, ღორღის, კენჭების და სამშენებლო ნაგვის ნარევით, რომელიც ტერიტორიაზე გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 1,30–2,50 მ-ის ფარგლებში;
2. **ფენა 2 – I სგე – დელუვიური გენეზისის თიხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი ღია ყავისფერი, მყარი კონსისტენციის, წვრილი კენჭების ჩანართებიანი თიხნარით,** ქვიშის თხელი შუაშრეებითა და ლინზებით, რომელიც გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 1,30–2,50 მ-დან 4,00–4,60 მ-მდე;
   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

   - გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ =1.69 გრ/სმ^3
   - ხვედრითი შეჭიდულობა C = 0.22კგძ/სმ^2
   - შიგა ხახუნის კუთხე 22^0
   - დეფორმაციის მოდული E =14მპა
   - საანგარიშო წინაღობა R_0 250კპა (2.5კგძ/სმ^2)
   - საგების კოეფიციენტი 2,5კგ/სმ^3
   - პუასონის კოეფიციენტი 0.35

3. **ფენა 3 – II სგე – დელუვიური, გენეზისის თიხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი ღია ყავისფერი, რბილპლასტიკური კონსისტენციის, წვრილი კენჭების ჩანართებიანი თიხნარით, ქვიშის თხელი შუაშრეებითა და ლინზებით,** რომელიც გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 4,00–4,60 მ-დან 5,30–7,40 მ-მდე;
   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

   - გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ =1.91 გრ/სმ^3
   - ხვედრითი შეჭიდულობა C = 0.20კგძ/სმ^2
   - შიგა ხახუნის კუთხე 18^0
   - დეფორმაციის მოდული E =12მპა
   - საანგარიშო წინაღობა R_0 180კპა (1,8კგძ/სმ^2)
   - საგების კოეფიციენტი 1,5 კგ/სმ^3
   - პუასონის კოეფიციენტი 0.35

4. **ფენა 4 – III სგე – ალუვიური გენეზისის მსხვილნატეხოვანი გრუნტი, წარმოდგენილი კენჭნაროვანი გრუნტით, ქვიშის შემავსებლით 30%-მდე,** რომელიც გავრცელებულია მიწის ზედაპირიდან 5,30–7,40 მ-დან 7,60–9,20 მ-მდე;

   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

   - გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ =1,95გრ/სმ^3
   - ხვედრითი შეჭიდულობა C = 0,02კგძ/სმ^2
   - შიგა ხახუნის კუთხე 38^0
   - დეფორმაციის მოდული E =55მპა
   - საანგარიშო წინაღობა R$_0$ 550კპა (5,5კგძ/სმ^2)
   - საგების კოეფიციენტი 8.0კგ/სმ^3
   - პუასონის კოეფიციენტი 0.27

5. **ფენა 5 – IV სგე – ზედა ეოცენის ძირითადი ქანები, წარმოდგენილი ძირითადად არგილითებით ქვიშაქვების იშვიათი თხელი შუაშრეებით, რომლებიც ეროზიული ზედაპირიდან 1,30–2,00 მ-ის სიღრმის ფარგლებში ძლიერ გამოფიტულია, გათიხებულია (ელუვირებული ზონა) –** დანაწევრებულ-დაშლილია ფიზიკური გამოფიტვის მრავალრიცხოვანი ურთიერთგამკვეთი ნაპრალებით (ქანის მთლიანობა დარღვეულია – კერნი საბურღი მილიდან გამოდის დაშლილი), თუმცა შენარჩუნებული აქვს მთავარი ტექსტურული ნიშანი – შრეობრიობა.

   გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

   - გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ =2.0 გრ/სმ^3
   - ხვედრითი შეჭიდულობა C = 0,68კგძ/სმ^2
   - შიგა ხახუნის კუთხე 20^0
   - დეფორმაციის მოდული E =35მპა
   - საანგარიშო წინაღობა R$_0$ 400კპა (4,0კგძ/სმ^2)
   - საგების კოეფიციენტი 10კგ/სმ^3
   - პუასონის კოეფიციენტი 0.27

6. **ფენა 6 – V სგე – ზედა ეოცენის ძირითადი ქანები, წარმოდგენილი არგილითებით, ქვიშაქვების შუაშრეებით (ზოგან მორიგეობენ დასტებითაც), რომლებიც გავრცელებულია 3,00–10,60 მ-დან კვლევის სიღრმემდე (8,00-20,00 მ) შედარებით საღია, დამახასიათებელი მოლურჯო-რუხი შეფერილობით, ნაპრალები ძირითადად ორიენტირებულია დაშრევების სიბრტყეზე, ქანის მთლიანობა არ არის დარღვეული.** აღნიშნულ ზონაში აღინიშნება შედარებით მტკიცე და შესუსტებული ზონები, გავრცელებული შესაბამისად, ქვიშაქვების და არგილითების სიჭარბის ადგილებში (ქვიშაქვები უფრო მედეგია გამოფიტვის აგენტებზე, ვიდრე არგილითები). ძირითადი ქანის ეს ზონა შეიძლება დახასიათდეს როგორც გამოფიტული. ძირითადი ქანების ზონაში ჭარბობს არგილითების შრეები, მისი შემცველობა მთლიანი გრუნტის მასაში 80%-ის ფარგლებშია. არგილითები გავრცელებულია თხელი შრეების (1–3 სმ) სახით, ხოლო ქვიშაქვები საშუალო და სქელშრეებრივია (3–30 სმ). ძირითადი ქანების წოლის ელემენტები, რაიონში არსებული გაშიშვლებების და არსებული საფონდო და საარქივო მასალების მონაცემების მიხედვით შემდეგია: ფენების დაქანების აზიმუტი – ჩრდილო-აღმოსავლეთური $40–50^0$, დახრის კუთხე $20–25^0$.

გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები შემდეგნაირია:

- გრუნტის ბუნებრივი სიმკვრივე - ρ =2.20გრ/სმ^3
- დრეკადობის მოდული E = 4150,0
- სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში R_C = 6100კპა (61კგძ/სმ^2)
- საგების კოეფიციენტი 80კგ/სმ^3
- პუასონის კოეფიციენტი 0.25

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ მიწისქვეშა წყალი გამოვლინდა ყველა ჭაბურღილში მიწის ზედაპირიდან 5,30–6,40 მ-ის სიღრმეებზე და რამოდენიმე ხნის შემდეგ დამყარდა 5,00–5,50 მ-ის ფარგლებში. გრუნტის წყლის გავრცელება ვლინდება თიხოვან და ალუვიურ გრუნტებში.

მიწისქვეშა წყლების კვება ძირითადად ხდება ატმოსფერული (ზემოდან) და ნაპრალოვანი (ქვემოდან) წყლების ხარჯზე.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 ბალია. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0,17. უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით II-III კატეგორიას.

საინჟინრო გეოლოგიური თვალსაზრისით, სამშენებლო უბანზე არახელსაყრელი ფიზიკურ-გეოლოგიური მოვლენები (მეწყერი, კარსტი, ჩაქცევები და სხვა) არ აღინიშნება. თუმცა ჭრილის ზედა ნაწილში გავრცელებული თიხოვანი გრუნტი (ფენა 2) ჯდომადი თვისებების მატარებელია, ფენა 3-ის თიხოვანი გრუნტის რბილპლასტიკური კონსისტენცია (სეისმური თვისებების მიხედვით III კატეგორიის გრუნტი) და, ასევე, გრუნტის წყლის შედარებით მაღალი დონეები არახელსაყრელი ფაქტორებია. საინჟინრო გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ზემოთხსენებული არახელსარელი ფაქტორების გათვალისწინებით, სამშენებლო ტერიტორია მიეკუთვნება III კატეგორიას (რთული). ჩატარებული კვლევების საფუძველზე ავტორი იძლევა რეკომენდაციებს: დასაპროექტებელი შენობის ტექნიკური მახასიათებლებიდან და ტერიტორიის გეოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე, შენობის დაფუძნების ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტს წარმოადგენს დაფუძნება განხორციელდეს V სგე-ის გრუნტზე, გამოფიტულ ძირითად ქანზე (ფენა 6), ბურღვით-ნატენი საყრდენი ხიმინჯების გამოყენებით, ქანში შესვლით არანაკლები 0,5 მ-სა. არ გამოირიცხება შენობის დაფუძნება განხორციელდეს II და III სგე-ის თიხნარ გრუნტებზე (ფენები 2 და 3) – ფენობრივად მოტკეპნილი (0,20-0,25 მ) ხელოვნურ ფუძეზე, ხრეშ-კენჭნაროვან ბალიშზე, ფილის საძირკვლის გამოყენებით. ფენობრივად (0,20-0,25 მ) შემკვრივებულ საბალასტო გრუნტზე. ფენობრივად შემკვრივებული ხელოვნური ფუძე განიხილება სეისმური თვისებების მიხედვით II კატეგორიის გრუნტად და სისქესთან და გეგმარებით ნიშნულთან დამოკიდებულებაში შეიძლება გამოყენებული იქნეს სეისმურობის გაუმჯობესების კონსტრუქციულ ღონისძიებად. დაფუძნების ზემოთ მოცემული ვარიანტები ინჟინერ გეოლოგის რეკომენდაციაა და არანაირად ზღუდავს კონსტრუქტორს დაფუძნების კონკრეტული ან სხვა ვარიანტის შერჩევისას. დაფუძნების კონკრეტული ვარიანტი განისაზღვროს ტექნიკურ-ეკონომიკური გათვლების საფუძველზე ქვაბულის

დამუშავებისას, გრუნტის წყლის დონემდე ჩასვლის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს წყალქცევითი სამუშაოების ჩატარება. წყლის საორიენტაციო მოდენი ქვაბულის ყოველი მ^2-დან ან სადრენაჟო თხრილის გრძივი მეტრიდან მიღებული იქნეს 0,01 ლ/წმ. გრუნტის წყალი და სამშენებლო ტერიტორიაზე გავრცელებული თიხოვანი გრუნტი (ფენა 2) ხასიათდებიან სულფატური აგრესიულობით და დასაპროექტებელი შენობის საძირკვლების მიწისქვეშა კონსტრუქციებისთვის გამოყენებული იქნეს სულფატომედეგი ცემენტების სახეებზე დამზადებული ბეტონები.

დასკვნა

ქ. თბილისში, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი №94-ში, (ს/კ 01.17.13.037.019), მრავალფუნქციური 13 სართულიანი, პარკინგის ერთი სართულით შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. მშენებლობის პროექტისთვის შესრულებული ანგარიშში ჭაბურღილების რაოდენობა, განლაგება და სიღრმეები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

გეოლოგია-მინერალოგიის აკადემიური დოქტორი,
საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-
კორესპონდენტი,პროფესორი: /ია მშვიდობაძე/

Ia Mshvidobadze 01024023058
Digitally signed by Ia Mshvidobadze
Date: 2025.12.25 20:16:43

CV - მშვიდობაძე ია

გვარი, სახელი, მამის სახელი	მშვიდობაძე ია ნოელის ასული
მისამართი	ქ. თბილისი, იოსებიძის ქ.57,ბ.7
ტელეფონის ნომერი	599 45 03 30; 558 66 33 49
ელექტრონული მისამართი	iamshvidobadze@gmail.com
დაბადების თარიღი	1962 წლის 21 ოქტომბერი
განათლება	1979 წელს დავამთავრე ქ.თბილისის 58-ე საშ. სკოლა; 1984 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ინჟინერ-მშენებლის სპეციალობით;
მინიჭებული კვალიფიკაცია	2003 წელს გეოლოგია მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი (დიპლომი) 2019 წლიდან საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1984 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების" მიმართულების პროფესორი, აკადემიური დოქტორი; 2003-2008 წლებში სამშენებლო კომპანია "იმკ-91" მშენებელ-ინჟინერი. 2018 -2024 წლებში შპს "რეალექსპერტი"-ს ექსპერტი გეოლოგიის დარგში.
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები,	**გამოქვეყნებული მაქვს ერთი მონოგრაფია, 37 სამეცნიერო შრომა, 9 მეთოდური მითითება და სახელმძღვანელო:** "საინჟინრო ნაგებობები" -2011წ; "ჰიდროტექნიკური მშენებლობა" 2016; მეთოდური მითითება "შენობა-ნაგებობათა ტექნიკური ექსპლოატაცია (ცვეთის ანგარიში)"; "მეთოდური მითითება გრუნტების მექანიკის ლაბორატორიული სამუშაოების შესასრულებლად" 2018; "შენობა ნაგებობების ტექნიკური ექსპლოატაცია" 2018. **საშუალებით".**
სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობა	**აღებული მაქვს პატენტი გამოგონება "ბეტონის საყრდენი კედლების კონტრფორსების მოწყობა ჰორიზონტალურად განლაგებული ხიმინჯების საშუალებით.** **შესწავლილი და ანგარიში დაწერილი მაქვს :** "ქ.თბილისში, თემქის დასახლებაში, XI მ/რ-ნი, III კვარტალი A კორპუსის მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა" - 2015წელი; "ქ. გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში მარაბდელის ქუჩის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"; "ქ. თბილისში, ც. დადიანის ქ. #103-ში ამხანაგობა "დადიანის 103"-ის საკუთრებაში არსებულ #064/009 ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი" ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"; 2018წ;ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ძირაგეულში, კოოპერატივ `ალვაზის" ღვინის ქარხნის მშენებლობისათვის, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ძიების ტექნიკური ანგარიში 2018წ;ქ. თბილისში, ოჟიოს ქუჩაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის (ს.კ. 01.10.13.033.923; 01.10.13.033.119; 01.10.13.033.118; 01.10.13.033.366) წინასწარი საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა 2018წ; ქ. თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, რკინიგზის ჩიხი #20, ნაკვ. #01.19.21.002.186 საწარმოო-სასაწყობე შენობის პროექტის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა 2018წ; "ქ. თბილისში, ტ. ტაბიძის ქ.#90-ში, 8 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა"2018წ;"ქ. ბათუმში, დასახლება ანგისასა და დასახლება ადლიაში (ს/კ 05.32.12.050) 15 სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევა,2019წ; ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, IV მკრ. კორპუსი №424 მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.19.39.002.065 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე არსებული საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა."2019.და სხვა. **საექსპერტო შეფასება ანგარიშზე: "საშუალა" ჰესის კასკადის სამშენებლო მოედნის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა 2019წ**.გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №81.12.11.697) მარცვლეულის შესანახი სასილოსე ნაგებობების მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გამოკვლევა 2020.ქ. თბილისში, ვაზისუბნის, III მკრ. II კვ. კორ. #16-ის მიმდებარედ, ნაკვეთზე ს/კ 01.17.07.011/068 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები2020. ქალაქ ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა #15-ში, ნაკვ. #86.19.28.071 საწყობის შენობის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"2020**. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დაკვეთით 2020-2025 წლებში ათეულობით საბავშო ბაღის, სკოლისა თუ პროფესიული სასწავლებლის მშენებლობისათვის გეოლოგიური დასკვნების ექსპერტიზები; ასევე I-II-III, თუ IV კატეგორიის შენობა ნაგებობებისათვის: მაღალი ძაბის საჰაერო ხაზების, გადამცემი ანძების, წყალმიმღები სატუმბი საჰაერო ხაზების, ელექტროსადგურების, მრავალსართულიანი საცხვრებელი სახლებისათვის თბილისსა, თუ ბათუმში, შესრულებული გეოლოგიური საექსპერტო შეფასებები;"მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II საქართველო" -ს ფარგლებში (კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონები) შესრულებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საექსპერტო შეფასებები 2022წ. და სხვა მრავალი.**
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით; გერმანული - ლექსიკონის დახმარებით

მეცნიერებათა კანდიდატის დიპლომი

№ 003745

თბილისი, 2003 წლის 5 სექტემბერი
წყალმეცნიერების ჰიდროგეოლოგიის ინჟინრული გეოლოგიის
და გარემოსდაცვითი კვლევების ინსტიტუტის
ბ 04 06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით
(ოქმი № 3 28.05.2003)

ი ა შ ვ ი ლ ი ძ ე ს

მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის 04.00.07,

მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გაიცა
საქართველოს სრულიად კვლევების საბჭოს

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე

ბ. ა.

სრულიად კვლევების საბჭოს თავმჯდომარე

Diploma of a Candidate of Sciences

№ 003745

Tbilisi, September 2003
Institute of Hydrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences
By decision of the Dissertation Board ბ 04 06 №5
(Protocol № 3 of 28.05.2003)

THE DEGREE OF A CANDIDATE OF SCIENCES
Geological - Mineralogical 04.00.07,
WAS CONFERRED ON
Ia Shvelidze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

(Seal)

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze

დიპლომი

ЛВ № 055149

ეს დიპლომი მიეცა [illegible]

[illegible]

[illegible] 1979 წელს შეიტანა.

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] 1984 წ.

[illegible] 28 [illegible] 1984 [illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible] № 1677

Грузинский кн.



ДИПЛОМ

ЛВ № 055149

Настоящий диплом выдан Мшвидобадзе Ия Назаревне

в том, что она в 1979 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина и в 1984 году окончила полный курс [illegible] института по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от 28 июня 1984 г. Мшвидобадзе И.Н. присвоена квалификация инженера строителя.

Председатель Государственной экзаменационной комиссии [illegible]

Ректор [illegible]

Секретарь [illegible]

М. П.

Город Тбилиси „28" 6 1984 г.

Регистрационный № 1677

Московская типография Гознака. 1983.


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ია
IA
გვარი / LAST NAME
მშვიდობაძე
MSHVIDOBADZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მდ / F
პირადი No / PERSONAL No
01024023058
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
21.10.1962
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
06.10.2032
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
20IF97147


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
გაგრა
GAGRA
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
06.10.2022
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
დამკვეთი: სრს; დამამზადებელი: MB-IDS 2021
სწს-ს რეგისტრაციის No 26-3184
IDGEO20IF97147701024023058<<<<
6210216F3210064GEO<<<<<<<<<<<5
MSHVIDOBADZE<<IA<<<<<<<<<<<<<<